

NON-STANDARD LEXICAL UNITS IN THE SYNTACTIC CONSTRUCTIONS OF CONTEMPORARY GEORGIAN POLITICAL AND MEDIA DISCOURSE

არანორმატიული ლექსიკური ერთეულები თანამედროვე ქართული პოლიტიკური და მედიადისკურსის სინტაქსურ კონსტრუქციებში

Ketevan Deisadze

PhD student of Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Tamar Mepe St. 59, 4600, Georgia,
+995599264622, keti.deisadze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0008-0535-8817>

Abstract. The primary essence of language as a social phenomenon is oral speech. The context of social interaction is manifested most vividly in live communication. In the conditions of globalization and technological advancement, the sphere of contemporary oral communication is saturated with borrowings and non-standard lexical units – barbarisms and jargonisms. Language changes and responds to the challenges of each historical epoch. Its lexical stock expands, and its expressive and functional capacities increase. In all these processes, oral speech plays a decisive role. Linguistic phenomena are most visibly reflected in oral texts.

Language continuously assimilates and transforms lexical units. The Georgian language, which has long maintained active contact with other languages of the world, embodies the accumulated results of multifaceted Oriental and multicultural influences. The native lexical resources of a language are not always sufficient to reflect new realities. There is no language whose vocabulary does not contain foreign elements. Globalization has intensified and sharpened this phenomenon. The contemporary communicative space is replete with international foreign lexical units. Technological progress has further accelerated this process. In the context of digital communication and global media influence, the changes occurring in modern oral speech may be regarded as a new stage in linguistic evolution.

Within the framework of mass communication, discourse serves as a principal instrument for shaping public opinion and influencing the masses. Political and media texts are oriented toward a broad audience. In accordance with the communicative environment and situational context, discourse incorporates all lexical units that are in use by society at a given time. Modern oral texts frequently contain non-standard lexical elements. The present study focuses on barbarisms and jargonisms prevalent in political and media discourse. Although these units deviate from traditional literary norms, recent tendencies demonstrate their active use in the public oral speech of politicians and journalists to enhance expressiveness, emphasize prestige, or underscore modernity.

Keywords: oral speech, syntactic constructions, discourse, barbarism, jargonisms.

ქეთევან დეისაძე

ფილოლოგიის დოქტორანტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქუთაისი, თამარ მეფის 59, 4600, საქართველო,
+995599264622, keti.deisadze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0008-0535-8817>

აბსტრაქტი. ენის, როგორც სოციალური ფენომენის, ძირითადი არსი საკომუნიკაციო დანიშნულებაა, ზეპირი მეტყველება კი კომუნიკაციის მთავარი ფორმაა.

საზოგადოებრივი ურთიერთობების კონტექსტი ცოცხალ მეტყველებაში ვლინდება. გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში თანამედროვე ქართული საკომუნიკაციო სფეროს ზეპირი მეტყველების სივრცე გაჯერებულია ნასესხობებითა და არანორმატიული ლექსიკური ერთეულებით – ბარბარიზმებითა და ჟარგონიზმებით. ენა იცვლება და უმკლავდება ეპოქის გამოწვევებს. მდიდრდება ლექსიკური მარაგი და იზრდება ენის ექსპრესიული და ფუნქციური შესაძლებლობა. ყველა ამ პროცესში ზეპირი მეტყველების როლი უმთავრესია. ენობრივი მოვლენები ყველაზე თვალშისაცემი სწორედ ზეპირი მეტყველების ტექსტებშია.

ენა მუდმივად ითვისებს და ასხვისებს ლექსიკურ ერთეულებს. ქართულ ენაში, რომელიც მუდმივ ურთიერთობაში იყო მსოფლიოს სხვა ენებთან, დაღეჭილია მრავალმხრივი ორიენტალიზმისა და მულტიკულტურული გავლენის შედეგი. ენაში სიახლის ასახვისათვის ყოველთვის არაა საკმარისი მშობლიური ლექსიკის რესურსი. არ არსებობს ენა, რომელსაც ლექსიკურ მარაგში უცხო სიტყვები არ მოეპოვება. გლობალიზაციამ ეს მოვლენა ინტენსიური გახადა და მძაფრად წარმოაჩინა. თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცე სავსეა საერთაშორისო უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულებით. პროცესს აქტიური ხასიათი მისცა ტექნოლოგიურმა წინსვლამ. ციფრული კომუნიკაციისა და გლობალური მედიაგავლენის პირობებში თანამედროვე ზეპირ მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებები ენის ევოლუციის ახალ საფეხურადაც შეიძლება განვიხილოთ.

დისკურსი მასობრივი კომუნიკაციის პირობებში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და მასებზე ზემოქმედების მთავარი ინსტრუმენტია. პოლიტიკური და მედიატექსტები ფართო აუდიტორიაზეა გათვლილი. დისკურსი საკომუნიკაციო გარემოსა და ვითარების ადეკვატურად მოიცავს ყველა იმ ლექსიკური ერთეულს, რომლითაც დროის მოცემული მომენტისთვის სარგებლობს საზოგადოება. თანამედროვე ზეპირი მეტყველების ტექსტებში მრავლად გვხვდება არანორმატიული ლექსიკური ერთეულები. ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენს პოლიტიკურ- და მედიადისკურსში გავრცელებული ბარბარიზმები და ჟარგონიზმები, რომლებიც ტრადიციულ ლიტერატურულ ნორმებს სცდება, თუმცა ბოლო დროის ტენდენციით შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, პრესტიჟულობისა თუ მოდერნულობის ხაზგასასმელად აქტიურად გამოიყენება პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა საჯარო ზეპირ მეტყველებაში.

საკვანძო სიტყვები: ზეპირი მეტყველება, სინტაქსური კონსტრუქციები, დისკურსი, ბარბარიზმი, ჟარგონიზმი

შესავალი. ზეპირი მეტყველება საზოგადოების იდენტობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი, თავის მხრივ, ინდივიდუალური რეალიზაციის აქტია, მაგრამ კომუნიკაციის პროცესში თვითგამოხატვის ფარგლებს სცდება და სოციალიზაციის ფუნდამენტურ მექანიზმს ქმნის. ყოველი ეპოქის კულტურული და საზოგადოებრივი კონტექსტი ზეპირი მეტყველების გავლით ცვლის და ავითარებს სალიტერატურო ენას.

ენის სიცოცხლისუნარიანობას მუდმივი დინამიკა უზრუნველყოფს. როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმის, ისე ენის თვითმყოფადობას მისი თავისუფლების მაღალი ხარისხი და სიახლისადმი სწრაფვა განსაზღვრავს. ცვლილებები და სიახლეები ენის მომხმარებელთა ბუნებრივ საუბრებში ჩნდება და ან უძლებს დროს და იმკვიდრებს თავს სალიტერატურო ენაში, ან მასთან ერთად ქრება.

ზეპირი მეტყველება ენის, როგორც სოციალური ფენომენის, მთავარი საკომუნიკაციო არსია. ზეპირი მეტყველება სპონტანური და მეტწილად წინასწარ დაუგეგმავია. შესაბამისად, დისკურსში შემოდის ყველა ის ლექსიკური ერთეული, რომელსაც საზოგადოება აქტიურად იყენებს დროის მოცემული მომენტისთვის. ეპოქა

ცვლის სოციუმს, კონტექსტს და, შესაბამისად, ზეპირ მეტყველებასაც. ჩვენი კვლევის საგანია ბარბარიზმები და ჟარგონიზმები, რომლებიც გავრცელებულია თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ- და მედიადისკურსში.

მეთოდები. ჩვენი სამეცნიერო კვლევის საგანი და ინტერესი ზეპირი მეტყველებაა, შესაბამისად, ნაშრომში აღწერისა და შედარების მეთოდთან ერთად გამოყენებულია კვლევის დისკურსული ანალიზის მეთოდიც.

შედეგები. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდება თანამედროვე ზეპირი მეტყველების ტექსტებში გამოვლენილი არანორმატიული ლექსიკური ერთეულების სინტაქსის კონტექსტში გაანალიზება, ბარბარიზმებითა და ჟარგონიზმებით შექმნილი ახალი სინტაქსური მოდელების კვალიფიცირება.

მსჯელობა. არანორმატიული ლექსიკის მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნის ბარბარიზმები. ბარბარიზმებად იწოდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ბუნებრივი ანალოგების პარალელურად არსებობენ და, მიუხედავად იმისა, რომ სალიტერატურო ენაში ვერ აღწევენ, სასაუბრო ენაში იმკვიდრებენ ადგილს. „ბარბარიზმია ყოველი უცხო სიტყვა, რომლის საჭიროებაც ენაში არ არსებობს“ (არაბული, 2008: 235). ბარბარიზმების გავრცელების ყველაზე შესაფერი გარემო ზეპირი მეტყველებაა, როგორც ენის სპონტანური და ექსპრესიული მანიფესტაციის არეალი. „ბარბარიზმი ისეთი ენობრივი კალკია, რომელიც არღვევს მოცემული ენის სალიტერატურო ნორმებს და შექმნილია სხვა ენის გრამატიკული წესების მიხედვით“ (პოპიაშვილი, 2019: 37). გასული საუკუნისგან განსხვავებით, როცა დიდი იყო რუსული ენის ზემოქმედება და ბარბარიზმების დიდი წილი რუსულენოვანი იყო, თანამედროვე ეპოქის მეტყველებაზე ინგლისურენოვან გავლენას ახდენს გლობალური მედია, სოციალური ქსელები და სხვა ციფრული საკომუნიკაციო არხები. თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიური ტერმინები, ბუნებრივი ეკვივალენტების პარალელურად, ბარბარიზმების სახით გვევლინება როგორც ყოფით, სასაუბრო მეტყველებაში, ისე საჯარო კომუნიკაციის სივრცეში. ენობრივი ფამილარობის მოტივი ხშირად პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მხრიდან ხალხთან სიახლოვის დემონსტრირებაა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სამეტყველო ტექსტებიდან ბარბარიზმები ინაცვლებენ წერილობით ტექსტებში, რისი ნათელი მაგალითებიც მრავლადაა როგორც სოციალურ ქსელებში, ისე თანამედროვე ბეჭდვით მედიაში.

საჯარო კომუნიკაციის პროცესში შექმნილ, წინასწარ მოუმზადებელ ზეპირ ტექსტებში ნათლად ჩანს ენაში მიმდინარე რეალური სურათი. ზეპირი მეტყველება ნაკლებად ექვემდებარება რედაქტირებასა და სტილისტურ თვითკონტროლს. შესაბამისად, იკვეთება ლექსიკური სიახლეები, ნასესხობები, ბარბარიზმები და ჟარგონული ელემენტები. ქართულ პოლიტიკურ ტექსტებში ბარბარიზმები გვხვდება არამხოლოდ როგორც ლექსიკური მოვლენა, ხშირია მათი ინტეგრირება სინტაქსურ კონსტრუქციებში. საკუთრივ ბარბარიზმიან სიტყვათშეთანხმებებთან ერთად გვხვდება ჰიბრიდული მოდელებიც.

ნაშრომში გაანალიზებულია როგორც თანამედროვე ქართველ ჟურნალისტთა და პოლიტიკოსთა მეტყველებაში, ისე საზოგადოების სხვა წევრთა ზეპირ, საჯარო გამოსვლებში გახშირებული ინგლისურენოვანი ბარბარიზმები. დავასახელებთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, როგორიცაა: ბორდი, სფიჩი, დედლაინი, ლაივი, ქეისი, ფოინთი, სერჩი, ლაიქი, დრაივი, ექშენი, აფთეიდი, შიარი, ფეშენი, მარკეტი, დეველოპერი, ფეიკი, აქაუნთი, სთორი, ფრეიმი, სტრიმი, ქრაში, ვაიბი, რელაქსი, ჰეითი, ბულინგი... გვხვდება დერივაციული ფორმებიც: დალაიქება,

დააფდეთება, დასერჩვა, დაშიარება, დაბულინგება... ხშირია როგორც საკუთრივ ბარბარიზმებით შექმნილი სინტაქსური წყვილები, როგორცაა, მაგალითად: ფასტ ფუდი, ლაივ სტრიმი, პიარ კამპანია, ჰეით სფიჩი, ფეიკ ნიუსი, ფეიკ აქაუნთი და ა.შ., ისე ჰიბრიდული სიტყვათშეთანხმებები: მესიჯის გაგზავნა, ნარატივის შექმნა, ნიუსის გავრცელება, ლაივ ჩართვა, ქეისის განხილვა, დედლაინის დაცვა და სხვა მრავალი.

ყურადღებას გავამახვილებთ ზეპირი მეტყველების საჯარო ტექსტების სინტაქსურ კონსტრუქციებში გამოვლენილ ხშირად გამოყენებულ ბარბარიზმებზე, რომლებიც მოპოვებულია სატელევიზიო და ციფრული მედიასაშუალებებიდან, როგორცაა: ტელეკომპანიები: „პირველი არხი“, „ფორმულა“, „მთავარი არხი“, „TV პირველი“, „იმედი“, „რუსთავი2“, „რიონი“, „მეგა ტვ“, „პოს ტვ“, „კავკასია“; აგრეთვე: „რადიო თავისუფლება“, „netgazeti.ge“, YouTube-პლატფორმა. ასეთი არანორმატიული ლექსიკური ერთეულებია (ბარბარიზმებია):

ლაივი – ინგლ. **Live** (ცოცხალი), ქართ. – **პირდაპირი ჩართვა**:

დონალდ ტრამპის ინაუგურაციის დღეს ვიმყოფებოდი რესპუბლიკის მოედანზე, მაქვს ამის მტკიცებულებები, ასევე ჩემს გვერდზე არის განთავსებული უწყვეტი **ლაივის ვიდეო** (ლ. გალდავა, ტვ. „TV პირველი“, 19.03.25);

ვიდრე **ლაივი** ჩაირთვებოდა, გაეპარათ ხმა იმის შესახებ, რომ არ აწყობდათ ტექნიკის მუშაობა (მ. მდინარაძე, ტვ. „პირველი არხი“, 27.02.2025);

გავაგრძელებთ სრულიად გამჭვირვალედ ამ პროცესში ყველა ჩართული მხარის მონაწილეობას, **ლაივი** იქნება ეს, ტელევიზია თუ სოციალური ქსელები (ვ. კუჭავა, ტვ. „პირველი არხი“, 24.05.2021);

ხელისუფლების წარმომადგენლებს ვთავაზობ, მაინც ყოველდღე აჩვენებენ სააკაშვილის კადრებს და ჩართონ ეს ყველაფერი **ლაივში**, მთელმა მსოფლიომ უყუროს, როგორი მდგომარეობა აქვს, რა ხდება (შ. ხაჭაპურიძე, ტვ. „პირველი არხი“, 17.02.2023);

ვთქვი იქვე **ლაივში**, რომ ასეთები, მაშინვე, პირველი უმცირესი გადაცდომის დროსაც კი უნდა მორალურად გალახონ-მეთქი – ზუსტად ეს სიტყვები ვთქვი **ლაივში** (ვ. ციკოლია, ტვ. „TV პირველი“, 29.12.2024);

ამის შემდეგ ისევ მივალ აქციაზე, ოღონდ მანქანამდე **ლაივით** უნდა ვიარო (ლ. ჯაოშვილი, ტვ. „TV პირველი“, 20.02.2025);

რაც შეეხება **ლაივისტრიმს**, თითქოს ითიშება, აგიხსნით, რომ შემდეგში ეს ტყუილიც არ იყოს. როდესაც სხდომაზე ცხადდება ტექნიკური შესვენება, ავტომატურად ითიშება **ლაივი**, როდესაც არის სხდომაზე წესრიგის დარღვევა, სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ტექნიკურ შესვენებას, **ლაივი** ავტომატურად ითიშება, **ლაივის** არანაირი განზრახ გათიშვა არ ხდება (შ. პაპუაშვილი, ტვ. „რუსთავი2“, 07.03.2023)...

ქეისი – ინგლ. **Case** (საქმე, შემთხვევა), ქართ. – **საქმე, შემთხვევა**:

თვალსაჩინოებისთვის ბევრი **ქეისი** შეიძლება წარვუდგინოთ საზოგადოებას, გამოვიძიოთ საპარლამენტო კომისიის ფორმატში, რათა მსგავსის ჩადენა ველარასოდეს ვერავინ გაბედოს (მ. მდინარაძე, ტვ. „პირველი არხი“, 15.01.2025);

ქეისებს რომ ვახსენებთ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, დაასახელონ სტრასბურგში წაგებული თუნდაც ერთი **ქეისი**, რომელიც ხელისუფლებამ წააგო და ამაზე გავაკეთოთ აქცენტი (მ. ყაველაშვილი, ტვ. „პირველი არხი“, 02.04.2024);

მიხეილ სააკაშვილის **ქეისი**, მისი ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით, ყალბია (ვ. კალაძე, ტვ. „პირველი არხი“, 06.10.2024);

რა თქმა უნდა, ინდივიდუალურ დონეზე ყოველი პატიმრის **ქეისი** იხილებოდა (მ. ყაველაშვილი, ტვ. „პირველი არხი“, 26.01.2025);

არანაირი გეგმა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, იმიტომ რომ, უბრალოდ, **ქეისი** არ არის (ვ. ცისკარიშვილი, ტვ. „TV პირველი“, 13.08.2024);

ჩვენ უკვე ვნახეთ რამდენიმე ასეთი ტიპის გადაწყვეტილება, იქნებოდა ეს მელიას ქეისი, იქნებოდა ეს „რუსთავი 2“-ის, მედიის დარბევის თუ სხვა (მ. ლაშხი, ტვ. „TV პირველი“, 30.09.2025);

ერთ რამეს დავამატებ, ზვიად გამსახურდიას ქეისი რა არის? (ლ. სანიკიძე, ტვ. „TV პირველი“, 24.07.2025)...

ლეველი – ინგლ. Level (საფეხური, დონე), ქართ. – **დონე, საფეხური**:

ხაბეს არ ვეხები, ხაბე დიდია და სხვა **ლეველზეა** გასული (ი. ზარქუა, ტვ. „TV პირველი“, 19.03.2023);

მარტივი ამბავია, მავნებლობის კიდევ უფრო მაღალი და ეგრეთწოდებული **ლეველი** და ხარისხია (მ. მდინარაძე, ტვ. „პირველი არხი“, 12.02.2024);

დღეს განიხილავდა პარლამენტი კანონს იმის შესახებ, რომ აქ გამოხატვის თავისუფლების უფრო პატარა **ლეველი** იქნება ვიდრე იყო (ბ. ყურუა, ტვ. „TV პირველი“, 05.10.2023);

შეიძლება სხვა რამე გამოიყენო, მაგრამ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობით ერთმანეთს შეურაცხყოფა არ უნდა მივყენოთ და მგონი ეს ქოც-ნაცური დაპირისპირების ახალი **ლეველია** (ი. ხვიჩია, ტვ. „პირველი არხი“, 20.06.2024);

არ ვიცი ამას საზოგადოება ხვდება თუ არა, რამდენად ჯანსაღი პროცესია ეს ქართულ პოლიტიკაში და ეს რას ნიშნავს თანამშრომლობის კუთხით, რომ ეს საერთოდ სხვა **ლეველია** (გ. გეგელია, ტვ. „რუსთავი 2“, 20.08.2025);

იმათ ვინც მათ შეესაბამება, მატერიალური თვალსაზრისით, ბიზნესკლასში რომ ერთად სხედან ან უცხოეთში ერთი **ლევლის** ამბავში რომ ტრიალებენ მათთან ურთიერთობენ (მ. ზოდელავა, ტვ. „TV პირველი“, 27.11.2023)...

გვხვდება, აგრეთვე, ბარბარიზმებით შექმნილი სინტაქსური წყვილები:

ფეიკ ნიუსი – ინგლ. Fake News (ყალბი ინფორმაცია), ქართ. – **ყალბი ინფორმაცია**:

ეს იყო ნაციონალური მოძრაობის მიერ მოგონილი **ფეიკ ნიუსი** (მ. მდინარაძე, ტვ. „პირველი არხი“, 27.05.2022);

რაც ვნახეთ, ეს გახლავთ მორიგი **ფეიკ ნიუსი**, ვინაიდან სინამდვილეში ჩანაწერი არ არის (ა. თალაკვაძე, ტვ. „TV პირველი“, 02.08.2021);

როგორც ჩანს, ეს არჩევნები იქნება ერთ-ერთი ყველაზე ტოქსიკური არჩევნები, მექანიზმი მარტივია – **ფეიკ ნიუსი** ან **ფეიკ ნიუსზე** მერე დალაგებული პროპაგანდისტული მანქანა (გ. გახარია, ტვ. „პირველი არხი“, 26.06.2020);

ამ მაჩვენებელზე ამან არანაირად არ უნდა იმოქმედოს, მაგრამ გავლენა უნდა მოახდინოს იმაზე, რასაც **ფეიკ ნიუსი** ქვია (გ. ვოლსკი, ტვ. „იმედი“, 24.12.2019);

ჩვენ ძალიან ხშირად ვავლენთ მათი მხრიდან გავრცელებულ **ფეიკ ნიუსებს**. ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტთან ალბათობით დარწმუნებული ვარ, რომ ესეც **ფეიკ ნიუსი** იქნება (ი. კობახიძე, ტვ. „პირველი არხი“, 03.07.2020);

ფეიკ ნიუსით, ტყუილით, ადამიანების მოტყუებით საარჩევნო კამპანიის წარმოებაა ბიძინა ივანიშვილის სამარკო ნიშანია (თ. ბოკუჩავა, ტვ. „პირველი არხი“, 24.04.2024);

სამწუხარო არის ის, რომ ზოგიერთი მედიასაშუალება **ფეიკ ნიუსებს** ავრცელებს (კ. ქემოკლიძე, ტვ. „TV პირველი“, 27.05.2021)...

საკომუნიკაციო ტექსტებში გვხვდება ჰიბრიდული სიტყვათმეთანხმებები:

სახელური:

ვანო არ არის მანდ **პირველი სკრიპკა** (დ. აქუბარდია, ტვ. „კავკასია“, 02.02.2023);

პროვოკატორი ხარ და რუსეთის **ზაკაზეზზე** გადასული (გ. სანიკიძე, ტვ. „ტვ პირველი“, 24.12.23);

ინტელექტუალური სპინინგი უინტერესო გახდა (გ. უგულავა, ტვ. „ფორმულა“, 27.05.2024)...

ზმნური:

გადააბრუნებენ პლასტინკას და დაიწყებენ საუბარს (ა. ბობოხიძე, ტკ. „ფორმულა“, 12.05.2025);

ეს იქნება კარგი გაკვეთილი ყველასათვის და ვისაც დუროშნიკობა უნდა, იმათთვისაც (გ. უგულავა, ტკ. „ფორმულა“, 26.05.2025);

შენი სოჩიკი გამოირთო წადი სახლში (ი. შაიშმელაშვილი, ტკ. „ფორმულა“, 12.05.2025);

მაგრამ ვაი ნოთ? (ი. ტაბლიაშვილი, ტკ. „ფორმულა“, 05.07.2025);

ეგ არის მითი, რომ სოფთ-ქოცი მიდის გახარიასთან (ნ. გვარამია, YouTube- არხი „ორ ცეცხლს შუა“, 23.05.2025);

საწყალ ტრამპს ვერ შეუჭამია ფასტფუდი ისე, რომ არ დაადგეს სიენენის ჟურნალისტი და არ კითხოს რა ფულით იყიდა და ხო არაფერი კორუფციული რამე ჩაიდინა (შ. ნათელაშვილი, ტკ. „ფორმულა“, 27.06.2025)...

არის შემთხვევები, როდესაც ერთ სინტაქსურ კონსტრუქციაში თავს იყრის როგორც ინგლისურენოვანი, ისე რუსულენოვანი ბარბარიზმებით შემდგარი სინტაგმები:

მთელი მოღვაწეობა ბოდი ლენგვიჯი რომ გვეგონა გახარიას იარაღი, ტანეც ჟივატა შეგვრჩა ხელში“ (ზ. ქადაგიძე, ტკ. „პოს ტ“, 15.04.2025)...

თანამედროვე დისკურსში ბარბარიზმების შემცველი სინტაქსური კონსტრუქციები შეიძლება განვიხილოთ როგორც პრაგმატიკურად მოტივირებული სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც არღვევს ნორმირების პრინციპს და ამავდროულად თვალსაჩინოს ხდის დისბალანსს კოდიფიცირებულ ენობრივ ერთეულსა და რეალურ მოხმარებაში არსებულ მოდელს შორის. სინტაქსის დონეზე ბარბარიზმები ქმნიან როგორც სახელურ ისე ზმნურ სინტაგმებს, მონაწილეობენ ჰიბრიდული მოდელების ფორმირებაში. ბარბარიზმების სინტაქსურ დონეზე გააქტიურება თანამედროვე ქართული ზეპირი მეტყველების ენაში გლობალური გავლენის ტენდენციას ავლენს, რაც განსაკუთრებით საგულისხმო და საყურადღებოა.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ზეპირი მეტყველების ტექსტებში შეინიშნება ჟარგონიზმების მომრავლების ტენდენციაც. **ჟარგონი** (ფრანგ. Jargon) ვიწრო სოციალური ჯგუფის მეტყველებაა. „ჟარგონი ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის ენაა, რომელსაც აქვს სპეციფიკურ სიტყვათა მარაგი და თავისებური გამოთქმებისა და ფრაზების ერთგვარი რაოდენობა, მაგრამ არა აქვს თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი“ (გაჩეჩილაძე, 1977: 24), **ჟარგონიზმი** კი არის სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც გამოიყენება გარკვეული სოციალური ან პროფესიული ჯგუფის მიერ და არ მიეკუთვნება ნორმირებულ, ლიტერატურულ ენას (ბასილია, 1991: 111). ჟარგონზე საუბარს საკომუნიკაციოდ მიმართავენ კონკრეტული სუბკულტურული იდენტობის ხაზგასასმელადაც. საკომუნიკაციო ლექსიკა, რომელიც შეიცავს ჟარგონიზმებს, მეტწილად გაუგებარია საზოგადოების ფართო ფენისთვის. „ჟარგონიზმად იწოდება არასწორი, დამახინჯებული მეტყველება, რომელიც სწრაფად ვრცელდება“ (პოპიაშვილი, 2019: 52). პოლიტიკურ- და მედიადისკურსში ჟარგონიზმი ზრდის მეტყველების ექსპრესიულობას და აჩენს ხალხურობის ელფერს, თუმცა კნინდება ტექსტის ღირებულებითი ნაწილი. საჯარო ტექსტი, რომელიც ჟარგონის ელემენტებს შეიცავს, ვერ ჩაითვლება ოფიციალურად. ამ მნიშვნელოვანი ფაქტორის მიუხედავად, თანამედროვე პოლიტიკურ- და მედიადისკურსში თამამად გამოიყენება ჟარგონიზმები. პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ ე.წ. ქუჩის ლექსიკას. ცხადია, საკომუნიკაციო სტრატეგიის ამ ფორმას ელექტორალური დატვირთვა აქვს. პოლიტიკოსთა მიზანი აუდიტორიის მიმხრობა და მხარდაჭერაა. ამიტომ ერთ ენაზე საუბრის შთაბეჭდილების ხაზგასასმელად საჭიროდ მიიჩნევენ ზეპირი მეტყველების დროს არანორმატიული ლექსიკური ერთეულების გამოყენებას. ჟარგონული მეტყველება თავისთავად გულისხმობს ბარბარიზმების აქტიურ

გამოყენებასაც. ამიტომ ჟარგონი ენას მრავალგზის აღარიბებს და აკნინებს. დავასახელებთ მედიასივრცეში ყველაზე ხშირად გამოყენებულ ჟარგონიზმებზე:

ჩმორი – უხეირო, ჯაზანი, ბედოვლათი (ბრეგაძე, 2013: 158). მაგალითად:

არიან ერთ მხარეს ჩმორი კაცები და უზრდელი ქალები (მ. მდინარაძე, ტვ. „იმედი“, 20.11.2023);

ხალხს ვერავინ ვერ დაუპირისპირდება. ესენი არიან ჩმორები და ჩვენ მივაჩმორებთ ბოლომდე. ყველა რუსეთუმე არის ჩმორი, პუტინი არის ჩმორი (გ. ვაშაძე, ტვ. „TV პირველი“, 02.03.2023);

ამ საქმის აღძვრით მათ უთხრეს, რომ ისინი გვარამიას ჩმორები არიან (ნ. გვარამია, ტვ. „TV პირველი“, 01.12.2021);

ჩვენ არანაირი აგრესია არ გვქონია ჩვენი თანატოლების მიმართ, მაგრამ არიან ჩმორები (ი. ნარმანია, ტვ. „პირველი არხი“, 03.10.2025)...

გოიმი – ჩამორჩენილი, გაუნათლებელი. ებრაულად სხვა სარწმუნოების მატარებელს, არაებრაელს ნიშნავს (ბრეგაძე, 2013: 44). მაგალითად:

გიგა ბოკერია არის ნომერ პირველი გოიმი ამ გოიმების სპექტრში (ი. კობახიძე, ტვ. „იმედი“, 21.05.2020);

თუ გოიმი ხარ, უნდა იყო ნომერ პირველი გოიმი (გ. ბოკერია, ტვ. „პირველი არხი“, 21.05.2020);

ვინ გოიმია და ვინ სვეტი, ეს ყველაფერი ოქტომბრის არჩევნებზე გაირკვევა (მ. მდინარაძე, ტვ. „TV პირველი“, 21.05.2020);

გოიმურად გამოიყურებიან, გოიმურად იქცევიან და ამ გოიმობის გამო ისინი მიიღებენ პასუხს (ი. კობახიძე, ტვ. „პირველი არხი“, 21.05.2020);

რას არ გაიგებ – გაპრავება, გადაგდება, დაჩმორება და ახლა შემოვა მოდაში დაგოიმება. რას ერჩით, მშვენიერი სიტყვაა (რ. გოცირიძე, ტვ. „TV პირველი“, 21.05.2020)...

საანალიზო მასალაში გვხვდება ჟარგონიზმებით შემდგარი სიტყვათშეთანხმება – **თავი გაიბანძა**. იგულისხმება თავი შეირცხვინა, დაკნინდა. **ბანძი** – უგემოვნო, უხარისხო (ბრეგაძე, 2013: 24). მაგალითად:

იმდენად პოლიტიკური ლუზერი გახდა თავისი ტირილით, თაღლითობით და რაღაცების მოგონებით თავი ისე გაიბანძა, რომ არაფრის თავი აღარ აქვს (მ. მდინარაძე, ტვ. „TV პირველი“, 27.03.2023);

გუშინ ხაზარაძემ თავი გაიბანძა (ზ. კუპრავა, ტვ. „რუსთავი 2“, 25.08.2022);

ლელომ ბიძინას სასარგებლოდ თავი გაიბანძა (გ. მირცხულავა, ტვ. „რუსთავი 2“, 04.11.2025);

მაგას ისეთი ოფსილა აქვს, თავს არ გაიბანძებს (ნ. გვარამია, youtube – არხი „მისმინე“, 23.05.2025)...

ჟარგონიზმების შემცველი სინტაქსური კონსტრუქციების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ ზეპირ მეტყველებაში არსებული ისეთი ფორმები, რომელიც მხოლოდ სპონტანურ საკომუნიკაციო აქტებში იქმნება. ასეთი სტრუქტურები აძლიერებენ მეტყველების აგრესიულ ტონს, არღვევენ ნორმებს და აღარიბებენ ენას.

დასკვნა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჯარო კომუნიკაციის პროცესში ზეპირი მეტყველების ტექსტებში არანორმატიული ლექსიკური ერთეულების გამოყენება უმეტესწილად სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს, რასაც აუდიტორიაზე გათვლილი საკომუნიკაციო მიზანშეწონილობა განაპირობებს. პოლიტიკურ- და მედიადისკურსში ბარბარიზმებისა და ჟარგონიზმების ჩართვით კომუნიკანტები ცდილობენ ტექსტის ექსპრესიულობის გაძლიერებას, თანამედროვეობის ეფექტის შექმნასა და ადრესატთან სიახლოვის ხაზგასმას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე საზოგადოების პროტესტი და მიუღებლობა, ისტორიულ-პოლიტიკური

განწყობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით შეიმჩნევა რუსული ენის მიმართ და რუსულენოვან წარმონაქმნებს ცალსახად ბარბარიზმებად მიიჩნევენ, თუმცა რუსული ენიდან დამკვიდრებული ბარბარიზმების გამოყენება მაინც ხშირია, რადგან დალექილია სამეტყველო ლექსიკაში. ემპირიულ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ინგლისურენოვანი ბარბარიზმების მოხმარების ტენდენცია რუსულთან შედარებით ზრდადია და ერთგვარად ბუნებრივად მიიჩნევა გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, რაც ამავედროულად საფრთხის შემცველია ენობრივი თვითმყოფადობისათვის. ანალოგიურად შეიძლება შეფასდეს მასობრივი კომუნიკაციის დროს სამეტყველო ტექსტებში ჟარგონიზმების ჩართვა, რომელთა საჯარო გამოყენება წლების წინ სათაკილოდ მიიჩნეოდა, თანამედროვე ზეპირ მეტყველებაში კი მათი როლი გასცდა სოციალური დიალექტის ფორმატს და საჯარო მეტყველებაში გადაინაცვლა. მართალია, ახალი უცხო სიტყვების შემოსვლა ენაში ამრავალფეროვნებს და ამდიდრებს ენას, მაგრამ მათი ინტენსიური და უკონტროლო მოხმარება, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც მშობლიური ენის ბუნებრივი შესატყვისები მოგვეპოვება, გაუმართლებელია. მიზანშეწონილია უპირატესობა ენიჭებოდეს მშობლიური ენის ნორმირებულ ლექსიკას. რადგან საჯარო დისკურსის ზეპირი მეტყველების ტექსტებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ამიტომ პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა მიერ სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინება სცდება პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის ვიწრო სფეროს და ფართო მასებში მშობლიური ენის დაცვის სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს.

გამოყენებული ლიტერატურა

- არაბული, ა. (2008). *ქართული მეტყველების კულტურა*. თბილისი: უნივერსალი.
 ბასილაია, ნ. (1991). *ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა*. თბილისი: განათლება.
 ბრეგაძე, ლ. (2013). *ქართული ჟარგონის ლექსიკონი*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
 გაჩეჩილაძე, ს. (1977). *სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია*. თბილისი: განათლება.
 პოპიაშვილი, ნ. (2019). *პოეტური ენის საკითხები: პოეტური ენა, ტროპი*. თბილისი: უნივერსალი.
 ჭაბაშვილი, მ. (1989). *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. თბილისი: ხელოვნება.
 ინგლისურენოვანი ბარბარიზმების ლექსიკონი:
<https://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/saskolo/document/>
 უცხო სიტყვათა ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3>

REFERENCES

- arabuli, a. (2008). *kartuli met'qvelebis k'ult'ura [The Culture of Georgian Speech]*. Tbilisi: Universali.
 basilaia, n. (1991). *kartuli enis p'rakt'ik'uli st'ilist'ik'a [Practical Stylistics of the Georgian Language]*. Tbilisi: Ganatleba.
 bregadze, l. (2013). *kartuli zhargonis leksik'oni [Dictionary of Georgian Slang]*. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing.
 gachechiladze, s. (1977). *sit'qvierebisa da lit'erat'uris teoria [Theory of Oral Tradition And Literature]*. Tbilisi: Ganatleba.
 p'op'iashvili, n. (2019). *p'oet'uri enis sak'itkhebi: p'oet'uri ena, t'rop'i [Issues of Poetic Language: Poetic Language, Trope]*. Tbilisi: Universali.
 ch'abashvili, m. (1989). *utskho sit'qvata leksik'oni [Dictionary of Foreign Words]*. Tbilisi: Khelovneba.
 inglisurenovani barbarizmebis leksik'oni [Dictionary of English Barbarisms]:
<https://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/saskolo/document/>
 utskho sit'qvata leksik'oni [Dictionary of Foreign Words]:
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3>